eSIM-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია

- eSIM-ის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი მხარდაჭერის მქონე აპარატებზე. გთხოვთ, პირველ რიგში შეამოწმოთ, აქვს თუ არა თქვენს აპარატს შესაბამისი მხარდაჭერა და მხოლოდ ამის შემდგომ გააგრძელოთ აქტივაციის პროცედურა;
- eSIM-ის აქტივაციისთვის აუცილებელია, თქვენს აპარატს ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა;
- eSIM-ის აქტივაციის საფასური შეადგენს 10 ლარს, დღგ-ის ჩათვლით;
- საფასურის გადახდის შემდგომ, მოწყობილობის ეკრანზე, რომლის საშუალებითაც სარგებლობთ პორტალით, გენერირდება QR კოდი. აქტივაცია ასევე შესაძლებელია ჩამოტვირთვით;
- აქტივაციის ილუსტრირებული ვერსია იხილეთ აქ;
- eSIM-ის აქტივაციის შემთხვევაში, არსებული ფიზიკური SIM-ბარათი (იგივე ნომერი) ითიშება
- დაგენერირებული QR კოდი შესაძლებელია გააქტიურებულ იქნას მაქსიმუმ 5-ჯერ, რის შემდეგაც მოგიწევთ ახალი eSIM-ის შეძენა. 06.12.2024-მდე შეძენილი eSIM-ის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ და მისი დაზიანების/წაშლის შემთხვევაში, მოგიწევთ ახალი eSIM-ის შეძენა;
- თუ გსურთ ერთი მოწყობილობიდან მეორეში გადაიტანოთ eSIM, მაშინ ჯერ უნდა წაშალოთ ის არსებული მოწყობილობიდან და შემდეგ დააყენოთ ახალ ტელეფონში;
- აქტივაციის 5 წარუმატებელი მცდელობის შემდგომ თქვენ მიერ გააქტიურებული eSIM-ი იბლოკება და მისი განახლება შეუძლებელი იქნება;
- გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება;
- ერთ მოწყობილობაში, ფიზიკურ SIM-ბარათთან ერთად, შესაძლებელია რამდენიმე eSIM-ის გააქტიურება (რაოდენობა დამოკიდებულია მოწყობილობაზე), თუმცა აქტიური შეიძლება იყოს მხოლოდ 2 - ფიზიკურ SIM-ბარათი და eSIM-ი ან ორი eSIM-ი ერთდროულად;
- ერთი ნომრიდან საუბრის დროს მეორე ნომერი გათიშულია. ლოდინის რეჟიმში ორივე ნომერზე შესაძლებელია დარეკვა;
- ისევე როგორც ფიზიკურ SIM-ბარათს, eSIM-საც აქვს PIN კოდით დაცვა. თუ PIN კოდით დაცვა გააქტიურებულია, SIM-ბარათი დაიბლოკება PIN კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში. ასეთ დროს დაბლოკილი SIM-ბარათის გააქტიურება შესაძლებელია PUK კოდით. PUK კოდის ათჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში eSIM-ი იბლოკება და მისი აღდგენა აღარ იქნება შესაძლებელი.